№ 259
ოთხშაბათი, 1 დეკემბერი, 1899 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 259
ოთხშაბათი, 1 დეკემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე ალექსანდრეს ასული გაგაშვილისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას

**ბესარიონ დავითის ძის გაგაშვილისა**

ორს ქრისტეშობის თვეს, ხუთშაბათს, 10 საათზედ ვერის წმ. იოანნე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.

(2— —1)

## „ივერია“

გამოვა 1900 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,
„ივერიის“ რედაქცია,
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და
ბაქოში, ხიდდეგელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

ტელეფონი № 227.

სატელეგრ. ადრესი:

**ТИФЛИСЪ**. Редакція „ИВЕРІА“.

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მან. დუკეთმოზათ, ნახევარის წლით 4 მან.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 2 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

მოსკოვის ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ

I

**შეშლილია**

კომედია-დრამა 2 მოქმედ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

II

**ძუნწი**

კომედია 2 მოქმედ. გ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნებიერიძისა, გარელი, ჯავახიშვილისა, აბხაზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**. 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს ლ სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი**.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ სადოსტაქრო.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისის, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე**.—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ექიმი

## კ. ს. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—49)

### მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: როტმისტრი არჯევანიძე ბაქოს გუბერნიის ჟანდარმერიის დარაჯთა ინსპექტორის თანაშ. აღმასრულებლად და პორუჩიკები მესხიშვილი და ქვანია ტფილისის გუბერნიის ჟანდარმერიის დარაჯთა ადიუტანტად.

### ახალი ამბავი

*** 29 ნოემბერს ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, რაც შეიძლება საჩქაროდ წარმომიდგინეთ იმ დადგენილებათა ბირები, რომელიც შეეხება ხმ. თუმანოვის პასუხის გებაში მიცემას დაფასების ქაღალდებში სიყალბის ჩადენის გამო და აგრეთვე იმის, თუმანოვის, განცხადებას მისის ხმოსნობიდგან გამორიცხვის შესახებ. ამასთან გუბერნატორმა სთხოვა მოურავს, დაიჩქარეთ 8, 15 და 23 ნოემბრის ქალაქის საბჭოს დადგენილებათა წარმოდგენაო.

*** ტფილისის გუბერნატორმა განსაკუთრებული კომისია დანიშნა ტფილისის პოლიციის მოხელეთა შეიარაღების გასაშინჯად და მისის ავ-კარგიანობის შესამოწმებლად.

*** ტფილისის საშუალო სასწავლებლები ამზადებენ მოსწავლეთა საუკეთესო ხატვის ნიმუშების ალბომს პარიჟის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზედ გასაგზავნად.

*** ინჟინერმა ლინდლეიმ ქალაქის ინჟინერთან და წყლის მილების მმართველთან ერთად დაათვალიერა ნატახტარის წყაროები და შეუდგა ქალაქის წყლის მილების გაფართოების პროექტის შემუშავებას. ამ დღეებში გამგეობის წევრთ და ხმოსან-ტეხნიკოსთ განზრახვა აქვთ გაემგზავრონ ამ წყაროების ხელ-მეორედ დასათვალიერებლად.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციის განკარგულებით, ცხინვალის ნაწილში გაგზავნილ იქმნა ორი ბეითალი საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

*** რადგან ტფილისის მაზრის სოფ. პატარა თიონეთსა და კობში და აგრეთვე გორის მაზრის ცხინვალის ნაწილში საქონლის ჭირი გაჩნდა, ამის გამო ტფილისის გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დეკემბრისათვის 5,000 მან. კრედიტი გადაიდოს ჭირთან საბრძოლველად და დახოცილ საქონლის პატრონთა დასაჯილდოებლად.

*** ბ-ნთ ს. ი. სოლომონსა და ლ. მ. რიჟანსკის ნება დაერთოთ დააარსონ ბები-ქიბათის სამექანიკო ქარხნის საზოგადოება. ძირის თანხა საზოგადოებისა უდრის 500,000 მანეთს, რომელიც გაყოფილია, 1,000 აქციად. აქცია ჰღირს 500 მან.

*** ტფილისში ჩამოვიდნენ თერგის ოლქის უფროსი, ბაქოს, ქუთაისის და შავიზღვის პირის გუბერნატორები, განჯის ვიცე-გუბერნატორი და ზაქათალის ოლქის უფროსი.

*** ყარსის რკინის გზა ჩაიბარა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ 1-ლ დეკემბრიდგან.

*** ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის-მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვით, ქალაქის 1900 წლის შემოსავალი უდრის 1,238,235 მან. და 64 კ.

*** ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო შედგენილ იქმნას წელს გორის მაზრაში სამეურნეო თანხა გარდასახადის აკრეფით ფუთ ქერზედ 50 კ., სიმინდზედ—50 კაპ. და პურზედ—70 კ. სეტყვისა და წყალდიდობისაგან ყველაზედ უფრო დაზარალებული სოფლები განთავისუფლებულ იქმნება გარდასახადისაგან.

*** დ. ბორჯომსა და ქ. ახალციხეს შუა გზატკეცილზედ მიმოსვლა, რომელიც ზვავების გამო შეწყვეტილი იყო, 26 ნოემბერს განახლდა.

*** 1-ლ იანვრიდგან ქ. ბათუმში დაარსდება ქალაქის საყასბო დუქანი.

*** „კავკ.“ ატყობინებენ, რომ ოზურგეთის ქალაქის მოურავმა თავ. ნ. თავდგირიძემ შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ თუ შეუძლებელი იქმნება კონცესია მიეცეს ქალაქ ოზურგეთს ნატანების სადგურიდგან ოზურგეთამდე რკინის გზის შტოს გასაყვანად, მაშინ ეს კონცესია თვითონ თავდგირიძეს მიეცეს, რომელიც თავისის ხარჯით გაიყვანს ამ გზას.

*** 29 ნოემბერს ჭიათურის რკინის გზის შტოზედ, მე-32 ვერსზედ, საქონლის მატარებლის გავლის დროს მთიდგან ჩამოვარდა დიდი ქვა, რის გამო ორთქლმავალი ლიანდაგს გადასცდა წინა ბორბლებით. რადგან ორთქლ-მავალი ერთბაშად იქმნა შეჩერებული, ხუთი ცალიერი ვაგონი ერთმანეთს მიაწყდა, აგრეთვე ლიანდაგს გადასცდა და დაზიანდა. („ტფ. ფ.“).

*** ქუთაისი. კვირას, 5 დეკემბერს, ქუთაისში აპირობენ სალიტერატურო საღამოს გამართვას გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზედ დაარსებულ წიგნთსაცავის სასარგებლოდ.

*** ს. ვეჯინი, (სიღ. მაზ.) 21 ნოემბერს აქ აკურთხეს სამრევლო სკოლა. კურთხევას დაესწრნენ სამღვდელო და ერის კაცები. პარაკლისი გადიხადა მღ. მ. თომა ასათიანმა, რომელიც ამ სკოლის ზედამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედველი და მასწავლებელია, სკოლა ჯერ-ჯერობით მოთავსებულია მ. თომა ასათიანის სადგომის ერთს ოთახში.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგ. მიუსიუსლთან საქონლის მატარებელი შეჩერებულ იქმნა გზის დარაჯისაგან წითლის ნიშნის ჩვენების გამო. აღმოჩნდა, რომ გზის სადარაჯოს თავს დასხმოდნენ კიდაც ბოროტ-გამზრახველნი და თოფების სროლით ფანჯარაში მინები შეემტვრიათ. შენიშნეს თუ არა მატარებელი, ბოროტ-გამზრახველნი დაიმალნენ.

*** 27 ნოემბერს, მიხეილის ქუჩაზედ, რუქსის სახლში, ერევნის გუბერნიის გლეხის შვილმა 14 წლის ყმაწვილმა სააკ კარაპეტოვმა, ჩხუბის დროს დანით დასჭრა თავისი ამხანაგი გორის მაზრის გლეხის შვილი 16 წლის ყმაწვილი ნიკოლოზ ნადირაძე და თითონაც მსუბუქი ჭრილობა მიიღო თავში.

## ქალაქის საბჭო

29 ნოემბერი

წარსულის კრების ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, საბჭო შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას. გამგეობის წევრმა ბ-ნმა ხოსროევმა წაიკითხა ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება საბჭოში საქმის წარმოების შესახებ. როგორც ვიცით, საბჭოს განსაკუთრებული კომისია ჰყავდა არჩეული, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელებინა საბჭოს. საგუბერნიო საკრებულოსკი დაუდგენია, რომ კომისიის მუშაობა ამ საქმისათვის მეტიაო, რადგან კანონმდებლობაში გარკვევით არის აღნიშნული, თუ რა წესით უნდა სწარმოებდეს საქმეები საერო კრებებზე და ქალაქის საბჭოებშიო. კრებას აგრეთვე მოხსენდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა, ქალაქის თვითმართველობის თხოვნის თანხმად, დაამტკიცა ნიხრი ქალაქის ბაკისა, რომლითაც თითოეულს დასაკლავ კამეჩზედ გაეწერება გარდასახდელი 10 კ. და ძროხაზე ანუ ხარზედ 5 კაპ. შემდეგ ქალაქის მოურავმა გააცნო საბჭოს თავისი მისალოცი დეპეშების შინაარსი, რომელთაგან ერთი გაუგზავნია მას 7 ნოემბერს კიევისა და გალიციის მიტროპოლიტის იოანნიკისათვის მისის 50 წლის იუბილეის გამო და მეორე ერევნის პოლკისათვის, რომლის ტფილისში შემოსვლის შემდეგ 100 წელიწადი შესრულდა ამა წლის 26 ნოემბერს, და საპასუხო დეპეშები მიტროპოლიტის იოანნიკესი და დასახელებულ რაზმის უფროსისა.

გამგეობის წევრმა ხოსროევმა საბჭოს წაუკითხა სენატის დადგენილება ქალაქის მოურავის საჩივრის შესახებ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს განაჩენზედ, რომლითაც ქალაქს სახლის ქირა უნდა ეძლია იმ დაბალის ჯარის კაცთა ოჯახობისათვის, რომელთაც თუმცა სამსახურის ვადა უკვე შეუსრულდათ, მაგრამ კიდევ დარჩნენ სამსახურში. სენატს უკანონოდ უცვნია საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება და ქალაქის მოურავის საჩივარი შეუწყნარებია. ხმოსნის ბ. ა. ივანენკოს წინადადებით, საბჭომ დაავალა გამგეობას, იშუამდგომლოს სადაც ჯერ-არს, რომ ამ საქმეზედ დახარჯული ფულები უკანვე დაუბრუნდეს ქალაქს.

შემდეგ საბჭომ მოისმინა ბ-ნის გუბერნატორის წინადადება, რომ ვერის ბორანზედ ნიხრი დააწესოს გამგეობამო და აგრეთვე კამეჩებსა, ხარებსა და სახედრებზედ გარდასახადი დაწესდესო. გამგეობის წევრმა ბ-ნმა შესტაკოვმა წაიკითხა კომისიის მოხსენება ქალაქის ლომბარდის 1898 წლის ანგარიშის რევიზიის შესახებ. ხმოსანმა ბ-ნმა ვესელოვზოროვმა იკათხა, რა მდგომარეობაშია საუნივერსიტეტო თანხაო, და ბ-ნმა შესტაკოვმა უპასუხა, რომ ის მომგებიან ქაღალდებად აქცია გამგეობამ და ხელუხლებლად ხაზინაში არის შენახულიო.

დასასრულ კრება შეუდგა ბელგიის უსახელო ხაზოგადოებისა და ქალაქის ხელშეკრულობის პროექტის განხილვას. როგორც ვიცით, ბ-ნმა გუბერნატორმა მოსთხოვა გამგეობას, რომ ჯერ ხელშეკრულობის ხელმოწერილი პროექტი წარმომიდგინეთ და მერე ვიფიქრებ, დავამტკიცო თუ არა საბჭოს დადგენილება ქალაქის ცხენის რკინის გზის იჯარით გაცემის შესახებ ბელგიის უსახელო საზოგადოებისთვისო. გამგეობას, ამ წინადადების თანხმად, მოლაპარაკება გაუმართავს ამ საზოგადოების დირექტორ ბ-ნ რობისთან. ამ უკანასკნელს მოუწერია გამგეობისათვის, რომ შარშანს აქეთ, როცა ჩვენ შორის ხელშეკრულობის პროექტი დაიწერა, დრონი იცვალა, მაგალითად: საელექტრონო ქარხნის და რკინის გზის მასალები გაძვირდა, ფულის სარგებელმა იმატა როგორც რუსეთში, ისე საზღვარ გარეთ და საზოგადოების აქციებს ფასი დააკლდა ბირჟაზედა, ამიტომ წარსულს წელში დაწერილს ხელშეკრულობაში რამდენიმე ცვლილება უნდა მოვახდინოთ, რომლითაც ქალაქს ბევრი არა დააკლდება-რაო. აი, სხვათა შორის, რა ცვლილებას თხოულობს ბ-ნი რობი: ხელშეკრულობის პროექტის §-ით, ორთაჭალის ლიანდაგი უნდა 1 §-ით საზოგადოებას საგუბერნიო სატუსაღომდე. რობი თხოულობს, რომ ეს საქმე გადადებულ იქმნას, ვიდრე საზოგადოებას ლიანდაგის თითოეულ ვერსტიდგან წლიურად ოცი ათასი მანეთი მაინც არ ექმნება შემოსავალიო. საბჭოში ხანგრძლივი კამათი ასტყდა. ხმ. ა. ს. ბაზოვი იმ აზრს ადგა, რომ საბჭო სრულიად ნუ განიხილავს შეცვლილს პროექტს ხელშეკრულობისას, რადგან გუბერნატორი მხოლოდ იმას თხოულობდა, რომ ხელმოწერილი პროექტი უნდა წარმომიდგინოთო. ხოლო რადგან რობიმ უარი განაცხადა ხელის მოწერაზედ და ახალი პირობები დაგვიდო, გამგეობამ მხოლოდ ეს გარემოება აცნობოს ბ-ნს გუბერნატორსო. ხმ. მ. ი. დოლუხანოვის აზრით, ქალაქს ნება არა აქვს რობის წინადადება შეიწყნაროს, რადგან გაზეთებში დაბეჭდილ ქალაქის განცხადებაში გადაჭრით იყო მოხსენებული, რომ მოიჯარადრემ ორთაჭალის ლიანდაგი საგუბერნიო სატუსაღომდე უნდა მიიყვანოსო.

ხმ. კ. მ. ალიხანოვმა განმარტა, რომ რადგან ანგარიშის წიგნები ჩვენ ხელთ არ არის, საიდგან შევიძლიან ვიცოდეთ, როდის ექმნება თითოეულ ვერსტზედ 20,000 მანეთი შემოსავალი საზოგადოებასო. ადვილად შესაძლებელია, რომ ასეთი შემოსავალი ეხლაც ჰქონდეს და შეიძლება, ასის წლის შემდეგაც არა.

ბ-ნის ალიხანოვის წინადადების თანახმად საბჭომ დაადგინა, რომ ხსენებულ ლიანდაგის გაყვანა საგუბერნიო სატუსაღომდე დაამთავროს მოიჯარადრემ არა უგვიანეს 6 წლისა. ხელშეკრულობის დამტკიცების დღიდგან.

მე-30 §-ში მოხსენებულია, რომ ქალაქს უფლება აქვს აიღოს საზოგადოებიდგან ხელშეკრულობის დამტკიცების დღიდგან სამი თვის განმავლობაში, ან 500,000 მან. და შემდეგ, 15 წლის განმავლობაში, ვეღარავითარს იჯარას ვეღარ მოითხოვს, ან სესხად 4%-ით 600,000 მანეთი, რომელსაც ყოველ წლობით ხვედრი იჯარის ფულით დაჰფარავსო. ეხლა რობი ამბობს, რომ, რადგან ფულის სარგებელმა მოიმატა საზოგადოდ ყველგან, ასე რომ ბელგიაშიაც 6%-ის ნაკლებ არ იშოვება ფული, 600,000 მანეთის მოცემა ამ თავით არ შეუძლიან საზოგადოებასო. ეს საგანი, ხმ. კ. მ. ალიხანოვის წინადადებით, ასე გარდასწყვიტა საბჭომ: როცა ფულის სარგებელი იმ დონეზე დადგება ბრიუსელში, რა დონეზედაც იდგა წარსული წლის 25 დეკემბერს, როცა ხელშეკრულობის პროექტი დაიწერა, ქალაქს ნება ჰქონდეს მოსთხოვოს საზოგადოებას ამ თავით ხსენებული თანხა 4%-ად.

მე-36 § ამბობს, რომ იჯარის ვადა თავდება, როცა ხელშეკრულობის დამტკიცებიდან 31 წელიწადი, 8 თვე და 5 დღე გავაო. ბ-ნი რობი თხოულობს ეხლა, რომ, რადგან ამდენი ხნის განმავლობაში ხელშეკრულობა არ დამტკიცდა, საზოგადოებამ ზარალი ჰნახა, და, რადგან ქალაქს ამით არა დააკლდება-რა, ოთხი თვე კიდევ მომიმატეთ ვადა, ე. ი. 32 წლით მომეცითო. უკანასკნელ საიჯარო წელიწადს, როგორც წინასწარი ანგარიში აჩვენებს, საზოგადოებას ექმნება ერთიანი შემოსავალი ერთი მილიონი და სამოც-და-ხუთი ათასი მანეთი. 50%-ბის კვალობაზედ, 4 თვის განმავლობაში საზოგადოებას წმინდა მოგება 100 ათას მანეთზედ მეტი დარჩება. საბჭომ უარ ჰყო რობის მოთხოვნილება და დაადგინა, რომ დაცულ იქმნას პროექტში მოხსენებული ვადაო.

მე-37 §-ით საზოგადოება ვალდებულია წარადგინოს ქალაქის კასაში 100,000 მანეთი, რაიც თავდები უნდა იყოს იმისა, რომ მოიჯარადრე რიგიანად და დროზედ შეასრულებს თავისს მოვალეობას. რობის-კი განუცხადებია ეხლა, რომ 100,000 მანეთის მაგივრად 50,000 მანეთს შემოვიტან და ესეც საკმარისიაო. საბჭო, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, დასთანხმდა ამ წინადადებას.

# ფელეტონი

## მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ.

(შემდეგი *)

**ათონის ძველი ივერიის მონასტერი და ახალი ქართველთა სავანე და მათი ურთიერთა შორისი დამოკიდებულება.**

ქართველთა სავანეს ძმათ დაუწყიათ დავა ივერიის მონასტრის გამო 1883 წელს და აქამდე დასასრული არა აქვს მათს საჩივარსა. მადლობა ღმერთს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ, აწ ღვთივ განსვენებულმა, კეთილ-ინება და მამობრივ შეიბრალა ქართველნი ძმანი ათონის სავანისანი და ჰბრძანა დაენიშნოს მათ რუსეთის სახელმწიფო ხაზინიდგან სამი ათასი მანეთი წელიწადში შემწეობად, ვიდრე გადასწყდებოდეს დავა ივერიის მონასტრის გამო დაწყებული; წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილით ამოსწყდებოდნენ ქართველნი ძმანი: როდესაც ამავე დროს ჩვენ საქართველოს პურითა და ღვინით და სხვა კეთილით სუქდებიან ბერძენთა მონაზონნი. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

ეკკლესიის აღსაშენებლად ქართველთა სავანეს კვალადცა უწყალობა ათას ხუთასი თუმანი ნეტარ ხსენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ; ეს ფული რომ მიიღო წინამძღვარმა ქართველთა სავანისამ, ეკკლესია უკვე დასრულებული ჰქონდათ. და რაში დაიხარჯა ეს ფული, წინამძღვარს მონასტრისას ჯერაც ანგარიში არ მიუცია სავანის ძმათათვის თვისის მოვალეობისამებრ. ქართველთა ახალ სავანეში აწ ჰმოღვაწეობენ 33 ძმანი, მათ შორის სამი მღვდელ-მონაზონი: მოძღვარი ამ სავანესი დიდ სქემოსანი, მამა თეოდორე, იგი დიდად პატივცემულია არა თუ მხოლოდ ქართველთა სავანეში, არამედ მთელის ათონის მთის შვენებას შეადგენს თვისის სულიერის წმიდა მოღვაწეობის ცხოვრებით. დიდ შესანიშნავს კეთილზნეობის საგნების განსამარტებლად ყოველთვის იმას მიჰმართავენ ხოლმე ყველა მონასტრიდგან, ეროვნების განურჩევლად. ღირსად ჰმოღვაწეობენ ქართველთა სავანეში აგრეთვე მ. მ. გიორგი და იონა მღვდელ-მონაზონნი. ეს უკანასკნელი დროებით განაგებს სავანესა და ყოველ დღე მწირველია, და ჰზრუნავენ იგინი სავანის კეთილ-მდგომარეობისათვის. ხოლო წინამძღვარი ამ სავანისა დაფუძნებიდგანვე მ. ბენედიქტე მღვდელ-მონაზონი აგერ ხუთი წელია განშორებია მონასტერსა და იმყოფება სოხუმსა და ბათუმში მონასტრის საქმეების წარმართვისათვის.

სხვა-და-სხვა შევიწროებათა გარდა ქართველთა ძმათა შეშით სარგებლობის ნებასაც არ აძლევენ ბერძენთა მონაზონნი ივერიის მონასტრისანი, არც საფასითა. ერთხელ ნება მისცეს ქართველთა ძმათ შეშის მოჭრისა, ამათაც დაამზადეს შეშა ჩამოსატანად, ამ დროს მოცვივდნენ ივერიის მონასტრის ბერძენთა მონაზონნი, მორეკეს 12 ჯორი, დატვირთეს და წაიღეს თავის სასარგებლოდ. ქართველთა ხმა ვერ გასცეს, რადგანაც ისინი მცირედნი არიან რიცხვით და სულგრძელად მოითმინეს, ხმაც არ ამოუღიათ და სავანეს ეზოდგან გარედ არავინ მათგანი არ გასულა, რადგანაც კეთილგონიერება მოითხოვდა ამას, უკვდავი პოეტი რუსთაველის სიტყვისაებრ, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო“.

ყოველის ამის მხილველნი და მსმენელნი მაინც დიდის პატივისცემით ვეპყრობით ბერძენთა მონაზონთა, როდესაც ისინი მობრძანდებიან საქართველოში; ამავე დროს ისინი წყურვილით არჩობენ ჩვენთა ძმათა, ნებასაც არ აძლევენ ჩვენთა ძმათა სუფთად წყალის გაყვანისას სავანეს ეზოში, არ აძლევენ ისარგებლონ მათ იმ წყალით, რომლითაც თითონ ბერძნები არა სარგებლობენ, რადგანაც თითონ არა ჰსაჭიროებენ, უკეთესი წყარო თვით მონასტრის ეზოშივე აქვთ.

ივერიის მონასტერში გაუტარებია ბ-ნს მარის წარსულს წელში 40 დღე, ბევრი უშრომია, ბევრი ამოუწერია ქართულ წიგნებიდგან და ფოტოგრაფიითაც გადმოუღია. ამასთანავე ბ-ნი მარი დაჰპირებია მონასტრის ძმათა ქართული წიგნების კატალოგის შედგენას, რადგანაც არ არის იგი აქამდე შედგენილი. მოგახსენებენ, რომ ბოთლისათვის საცობი რომ დასჭირდეთ, ქართულის წიგნის ეტრადზედ მოჰხევენ ტყავს და ჰხმარობენო, ანუ თევზის დასაჭერად ჩანგალზედ ამ წიგნების ტყავსავე ჰხმარობენო. რა ეწოდება ამ გვარს მოქმედებას? ბარბაროსობა. აი ნიმუში გონების სიბნელისა განათლებულს 19 საუკუნის დასასრულს!

იქამდის მიაღწევს სიძულილი ივერიის მონასტრის ბერძენთა მონაზონთაგან, რომ ნებას არ აძლევენ ქართველთა სავანის ძმათა თავისუფლად შევიდნენ თაყვანისაცემლად ივერიის კარის ღვთისმშობლის ხატისა, საქართველოს ეკკლესიისა და ერის მფარველისა.

ათონის ივერიის მონასტერი დაფუძნებულია მეათე საუკუნის დასასრულში იმ ადგილზედ, რომელიც შეუძენიათ საქართველოს დიდებულთა შვილთა თვისის სისხლითა, რომელიც დაუთხევიათ მათ ბერძენთა სამეფოს დასახსნელად მტერთაგან; იგი მონასტერი აღშენებულია საქართველოს მეფეთა და მთავართა უხვის შეწირულებითა, მორწყული და განყოფიერებულია ქართველთა წმ. მამათა მოღვაწეობის სისხლის ოფლითა, დამყარებულია იგი ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის მფარველობითა, რომლისაც წილ-ხდომილნი ვართ, და ჰგიეს იგი უფლისა იესო ქრისტეს მოწყალებითა.

ახლაც ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი არ აკლებს თავისს მოწყალე მფარველობასა და ნუგეშსა ძმათა ქართველთა ათონის სავანისათა, უსამართლოდ დევნილთა ბერძენთაგან.

ამის დასამტკიცებლად ქართველთა ძმათა შემდეგი მომითხრეს: ზევით უკვე მოვიხსენე, რომ კარეაში არს ტაძარში სასწაულთ მომქმედი ხატი ღვთისმშობლისა, წოდებული „ღირს არსის ხატად“. ამ ხატს წელიწადში ერთ გზის ლიტანიით გამოასვენებენ ტაძრიდგან 11 ივნისს და შემოუვლიან გარემო დაბა კარეას. ორის წლის წინად გადასწყვიტეს ათონის მონასტრების ეპიტროპთა ანუ წინამძღვართა, გადაიღონ პირი ამ საკვირველ მოქმედის ხატისა, აკურთხონ იგი და გამოასვენონ ყოველ წელსა ლიტანიით ტაძრიდგან. ეს გარდაწყვეტილება მიიღეს ყოველთა კრებულთა მონასტრისათა; თითოეულმა წინამძღვარმა დასამტკიცებლად თავისის თანხმობისა, დასვა ღერბი თავისის მონასტრისა. გადაიღეს მეორე პირი საკვირველ მოქმედის ხატისა, გარემოს შემკობილი ყოველის ღერბითა ათო-

*) იხ. „ივერია“ № 256.

მე-44 §-ში მოხსენებულია, რომ მოიჯარადრემ თუ დროზედ ვერ გაიყვანა ლიანდაგები, ვალდებულია თითოეულ დაგვიანებულ თვეში ქალაქის სასარგებლოდ იხადოს ჯარიმად 500 მანეთიო. ხოლო თუ 6 თვე გადააცილა ვადას, ჯარიმის აღების გარდა, ქალაქის გამგეობას უფლება აქვს ხელშეკრულობა გააუქმოსო. რობი 6 თვის მაგიერ 1 წლის ვადას თხოულობს. საბჭომ ეს წინადადებაც შეიწყნარა.

კრების დროს, ხმ. კ. მ. ალიხანოვმა სთხოვა ქალაქის მოურავს და საბჭომაც მხარი დაუჭირა მას, რომ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა ეხლა მაინც თუ არ მოაწერა ხელი შეცვლილს პროექტს და ახალი პირობები მოითხოვა, აცნობეთ ბ-ნს გუბერნატორს, რომ მოიჯარადრესთან ვერ მოვრიგდით, და საბჭოს ნულარ წარმოუდგენთ განსახილველად იმ ახალს პირობებსაო.

## კახეთის მევენახეთა პირველი კრება

19 ნოემბერს თელავს ესტუმრნენ სხვა-და-სხვა მაზრიდგან მეღვინეობისა და მევენახეობის მცოდნე კაცები და მევენახენი. 20 ნოემბერს 11 საათზედ თავი მოიყარეს კლუბის დარბაზში, რომელიც კლუბის გამგებელთ დაუთმეს კრებებისათვის თავ. ანდრონიკაშვილს. ამ შემთხვევისათვის მოწვეულთ მ. მ. დეკანოზმა ხელაშვილმა და მღ. შიუკაშვილმა გადიხადეს სამადლობელი პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა გეგეჭკორმა გახსნა კრება და მიმართა კრებას გრძნობით სავსე სიტყვით. სიტყვის შემდეგ კრებას წევრთ სთხოვეს ბ-ნს გეგეჭკორს გაუგზავნეთ სამიწად-მოქმედო მინისტრს კრების სახელით სამადლობელი დეპეშა, რომ კრების მოხდენის ნება მოგვცაო, რომელზედაც შეგვიძლიან ვიქონიოთ ჩვენის საჭიროების შესახებ მსჯელობა. თავმჯდომარემ წაუკითხა კრებას დეპეშა ჟურნალის „მეღვინეობის მოამბის“ („Вѣст. Вин.“) რედაქტორისა: „რედაქცია დიდის სიხარულით გილოცავთ კრების გახსნას. ვისურვებთ, რომ მევენახეთ, რომელნიც შეკრებილ არიან მშვენიერ კახეთის შუა ალაგას, მოუფინოთ კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხე მეცნიერების სინათლით და გამოცდილების ნაყოფიერებით ქვეყანა, რომელმაც გაითქვა სახელი, როგორც ღვინის სამშობლომ, საყოველთაო კეთილდღეობის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად გარდაქმნილიყოს“.

თავმჯდომარის წინადადებაზედ კრებამ სურვილი განაცხადა, რომ გაიყოს განსახილველი საგნები სამ ჯგუფად და თითოეულისათვის ცალკე იქმნას არჩეული ერთი თავმჯდომარე და ორი მდივანი. პირველი სექციის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თავ. იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილი, წინამძღოლი სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობისა, მეორე სექციის თავმჯდომარედ ბ-ნი კლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკი და მესამესი—თავ. ლევან გიორგის ძე ჯანდიერი, მდივნებად ბ-ნი ნ. ი. გოზალოვი, მ. ი. კერმიშოვი, იუ. ა. სტაროსელსკი, თავ. ალ. რ. ვახვახიშვილი, ს. ნ. ტიმოფეევი, ვ. ი. პეროვი და თავ. ნაკაშიძე. ამით გათავდა დილის კრება.

საღამოს 7 საათზედ გახსნა კრება პირველი სექციის თავმჯდომარემ თავ. შალიკაშვილმა. დაესწრო პირველს გახსნაზედვე 70 კაცი და 7 ქალი. მერმე თანდათან ემატებოდნენ და 100-ზედ მეტმა მოიყარა თავი. მოხსენება წაიკითხა იული ალექსანდრეს ძე სტაროსელსკიმ ფილოქსერის შესახებ. მოხსენებაში მშვენივრად და ყველასათვის გასაგებად არის ახსნილი ფილოქსერის შემოსვლა საქართველოში და მისი მოძრაობა დასავლეთიდგან აღმოსავლეთისაკენ. ნათქვამია, რომ ეს ვაზის გამანადგურებელი მწერი ვრცელდება ორნაირად: ერთი—გადაფრენით და მეორე—გადატანით. გადაფრენით გავრცელებას არაფერი შველა არა აქვს, თუმცა წელიწადში სულ ბევრი 15 ვერსზედ მეტად ვერ გავრცელდებაო. გადატანით-კი, საიდგან საცა გინდა, გადიტან. გადატანა შეიძლება ტანისამოსით, იარაღით და მცენარით. დღეს თუ არა, ხვალ მომავალში კახეთსაც ეწვევა ეს ჩვენი დამღუპველი და ამიტომ ჩვენა გვმართებს მოვემზადნეთ მასთან საბრძოლველადო. მომხსენებლის აზრით, ფილოქსერა ვერც ისე მალე გადმოლახავს გომბორის მთებს, თუ ჩვენ არ გადმოვიტანეთ. საქმე იმაშია, რომ გადმოტანის საწინააღმდეგოდ არავითარი ღონისძიება არა გვაქვს მიღებული. ამიტომ იგი გვირჩევს, აქ მაინც გამოვიფხიზლოთ და რაც შეიძლება, გავაგრძელოთ ის დრო, რაც უფილოქსეროდ შესაძლებელია. ამისათვის, მომხსენებლის აზრით, საჭიროა ადგილობრივ მემამულეთაგან შემდგარი კომისია, რომელიც გაფაცხებით უნდა ადევნებდეს თვალს შემოსულებსაც და შემოტანილ მცენარესაც.

მოხსენების შემდეგ დაიწყო თავმჯდომარის ხელმძღვანელობით კამათი, რომელმაც დიდხანს გასტანა. როცა ყოველ მხრით გასინჯული და ყველასათვის განმარტებული შეიქმნა საგანი, კრებამ დაადგინა: 1) შუამდგომლობა აღიძრას, რომ კარანტინი დაწესდეს და მცენარეების შემოტანა უმოწმობოდ აკრძალულ იქმნას; 2) ვაზის რქის შემოტანის უფლება არავისა ჰქონდეს საფილოქსერო კომიტეტის ნება-დაურთველად; 3) ტფილისში დაარსდეს სადეზინფექციო სადგური.

შემდეგ მოხსენება წაიკითხა კლადიმერ ალექსანდრეს ძე სტაროსელსკიმ ამერიკულ ვაზის შესახებ. იმან გააცნო კრებას ამერიკული ვაზის ისტორიას და ძის კულტურას. ეს მოხსენებაც, როგორც პირველი, დიდის ყურადღებით მოისმინა კრებამ. მართლა რომ დიდი შთაბეჭდილება იქონია ბ-ნ სტაროსელსკის მოხსენებამ და ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვეს იგი. მომხსენებელმა აუხსნა კრებას, როგორ უნდა დაამყნონ ჩვენებური ვაზის რქა ამერიკულს ვაზზედ, რომელი ამერიკული ვაზის ჯიშია ამისათვის გამოსადეგი; როგორ მიდის ეს საქმე იმერეთში, განსაკუთრებით საქარის სანერგეში და სხ. თავისი მოხსენება ამ სიტყვებით დაათავა: „მე, ბატონებო, შუამავალი ვარ თქვენ წინაშე დაწუნებულის და ცილ-წამებულის ამერიკულ ვაზისა, რომელმაც მთელს საფრანგეთს წელი გაუმაგრა. დარწმუნებული იყავით, რომ რასაც ახლა გაკეთებთ, ის ბევრით ემჯობინება ახლანდელს თქვენს ვენახებს, ბევრად დიდი მოსავალიც მოგივათ და კარგი ღირსებისაც. ამაზეა ნათქვამი, ზოგი ჭირი მარგებელიაო“.

ბ-ნ სტაროსელსკის ჰკითხეს, საუფლისწულო მამულში არის ამერიკული ვაზი და ხომ არ იცით, როგორიაო? იმან უპასუხა, რომ სამწუხაროდ იქაური ვაზი თესლზედ არის მოსული, ამიტომ კარგი არც შეიძლება იყოსო. მინამ თვით სტაროსელსკი იძლეოდა პასუხს, კრებამ დაიწყო დათვალიერება და საუფლისწულო მამულის წარმომადგენელი არავინ იყო კრებაზედ. ყველა გააოცა ამ ამბავმა. როგორც ლაპარაკიდგან სჩანდა, 22 ნასწავლი კაცი მსახურობს თურმე ამ უწყებაში და არც ერთი არ დაესწრო სწორედ იმ საქმეს, რა საქმეშიაც ათასნაირად მოვალენი არიან სხვისი ხელმძღვანელნი იყვნენ. მიიხედ-მოიხედეს და არც ქალაქის მამასახლისი აღმოჩნდა კრებაზედ.

მოხსენება გ. ა. სტაროსელსკისა ერთხმად მიიღო კრებამ.

ამით გათავდა პირველი კრება პირველი სექციისა.

ნადიკვრელი

## სასამართლოს მატიანე

დაუდევრობა სამსახურის დროს.

1899 წ. 16 ივლისს, ტფილისის რკინის გზის სადგურზედ მატარებლის ერთის ლიანდაგიდგან მეორეზედ გადაყვანის დროს საქონლის მატარებელმა გაიტანა მუშა პესარიონ სადულაშვილი, რომელსაც ამის გამო დაემტვრა ორივე ფეხი და მარჯვენა ხელი. ორის საათის შემდეგ სადულაშვილი გარდაიცვალა. მუშებმა მურჯიკნელმა და წამალაშვილმა, რომელნიც სადულაშვილთან ერთად ჰმუშაობდნენ ვაგონის დასატვირთავად, გამოძიების დროს აჩვენეს: მუშაობის დროს ჩვენ შესასვენებლად მივჯექით ვაგონებს ქვეშ კუნძებზედ, ხოლო სადულაშვილი-კი რელსებზედ; გაიარა $^1/_4$ საათმა; ჩვენ არავინ არ გაგვაფრთხილა, მატარებლები დაიძრისო; უცებ ვაგონებს ორთქლ-მავალი დაეჯახა, ჩვენ გავგორდა და აი სწორედ ამ დროს რელსებზედ მჯდომი სადულაშვილი ბორბლებში ჩავარდაო. „მატარებლის შემდგენთა და ვაგონების გადამბმელთა წესების“ დათვალიერებიდგან აღმოჩნდა, რომ მატარებლის შემდგენელი ვალდებულია მისის დაძრის დროს დარწმუნდეს, არის თუ არა გზაზედ ვინმე, ანუ სხვა რამე დაბრკოლება. მატარებლის შემდგენელმა ივანე ბებურიშვილმა, რომელიც პასუხის გებაში იქმნა მიცემული თავისს მოვალეობის დაუდევრად შესრულების გამო, რასაც სადულაშვილის სიკვდილი მოჰყვა, თავი დამნაშავედ არა სცნო და განაცხადა: როცა მე გზას ვათვალიერებდი, რომელზედაც მატარებელმა სადულაშვილი გაიტანა, გავრეკე იქიდგან რამდენიმე მუშა, ხოლო ყოველ გამვლელის დანახვა და თვალ-ყურის დევნება გზაზედ არ შემეძლო, რადგან იმ ადგილას მუდამ მოძრაობააო.

ტფილისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც ეს საქმე 29 ნოემბერს განიხილა, ბრალდებული ბებურიშვილი დამნაშავედ სცნო, მას დაუდევრობა ჩაუდენია სამსახურის ასრულების დროსაო, რასაც შედეგად მუშა სადულაშვილის სიკვდილი მოჰყოლია და მიუსაჯა მას ორის თვით დაპატიმრება.

---

ნის მონასტრის ეროვნების განურჩევლად. როდესაც სრულიად მზად იყო ახალი ხატი ღვთისმშობელისა, მაშინ გადიფიქრეს, პირველი იგი გარდაწყვეტილება გააუქმეს და დაამტკიცეს კვალადცა გამოსვენება პირველის ხატისა ყოველს წელსა სალიტანიოდ. ახლა შეუდგათ ბაასი, რა უყონ მეორე ხატსა, ახლად დახატულსა და შემკობილსა?

გარდაწყვიტეს საზოგადო კრებაზედ წილის ყრა ამ ხატზედ, გააკეთეს სია ხელის მომწერთა ბილეთი თითო მანეთად. ქართველთა სავანეს მხრივ მოაწერა ხელი მამა იონა მღვდელ მონაზონმა და წილის ყრაში ერგო ეს ხატი ღვთისმშობლისა ქართველთა ძმათა სავანეს. წამოავლო ხელი ხატსა წარმომადგენელმა რუსთა პანტელეიმონის მონასტრისამ და გამოეშურა გარდასაცემად ხატისა ქართველთა ძმათათვის, რადგანაც წილის ყრას ქართველი ძმათაგანი არავინ დასწრებია. შეხვდა შემთხვევით გზაში ქართველი მორჩილი, გარდასცა იმას ხატი და უთხრა: მიიქეც მსწრაფლ ქართველთა სავანეში, რომ ბერძენთ არ წაგართვან ეს ხატიო. ისიც გამოიქცა რვა ვერსის მანძილზედ და ოდეს მოუახლოვდა ქართველთა სავანესა, იწყო მაღალის ხმით ღაღადება: გამოვედით ძმანო, მიგებებად ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, ჩვენის მოწყალე მფარველისა!. გამოვიდა და მსწრაფლ სრული სამღრთო კრება შემოსილი წინძღოლითა სანთლებისა და საკმეველისათა, დაასვენეს ხატი იგი გარეთ ეზოში, გარდაიხადეს პარაკლისი ღვთისმშობელისა და დააწესეს შემდეგ ამისა ყოველდღე მწუხრის დასასრულ შესრულება დაუჯდომელისა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელისა. მიიღეს ამ წმ. სავანის ძმათა ეს წმ. ხატი ვითარცა ცხადი ნიშანი ღვთისმშობლის მფარველობისა და მოწყალებისა ქართველთა ერსა და ქართველთა ათონის სავანესა ზედა.

მეორეჯერ ბერძენთა ერთმა მონასტერმა ჩააგდო ლატარიაში ვერცხლის ფეშხუმი, მოაწერინის ხელი მსურველთ. ამაზედაც მოაწერა ხელი ერთმა ქართველის სავანეს ძმათაგანმა და წილის ყრის დროს ეს ნივთიც ერგო ქართველთა სავანეს, შემდეგ ამ ორის შემთხვევისა ქართველთა ძმათაგანს აღარავის აწერინებენ ხელსა ბერძენნი, როდესაც ლატარიაში საეკკლესიო ნივთს ათამაშებენ, იმ შიშისა გამო, რომ ქართველებს არ ერგოს ნივთიო.

ბ-ნ მარის ყოფნის დროს ივერიის მონასტერში მოსულა იქვე სხვა პროფესორი, ბ-ნი კონდაკოვი, რომელსაც მოუთხოვნია, რათა ეჩვენებინა მისთვის ქართული შესანიშნავი ეტრატნი, ტყავზედ დაწერილი წიგნები და სხვა შესანიშნავი ძველი ნივთები ივერიის მონასტრისა. არაფერი არ უჩვენებიათ და გაბრაზებული გაბრუნებულა. ან კი ვინ არ განრისხდება ბერძენთა ამგვარ ველურ საქციელისაგან? 7 ათასის ვერსის სიშორიდგან მოსულა კაცი მოსახილველად ძველთა არქეოლოგიის ნაშთთა და არ აკმაყოფილებენ მისს საღმრთო მოთხოვნილებას.

ივერიის მონასტრის ციხის ზევით სართულში აქვთ დაკრძალული უძვირფასესი სამეფო და საეკკლესიო სამკაულნი: გვირგვინები და სკიპტრანი ქართველთა მეფეთანი, ძვირფასი სამი სახარება და ამ მონასტრის აღმაშენებელის მარად მოსახსენებელის თორნიკე ერისთავის საჭურველნი (საომარნი იარაღნი): ხმალი, ჩაფხუტი, ფარი, ჩაჩქანი და მშვილდი, რომელთაც არავის ქართველთაგანს არ უჩვენებენ. ეს ცნობები გარდმოცემულია ქართველისათვის მეგობრობით ერთის ბერძენის ბერისაგან.

12 ივლისს, ორშაბათს დილით, კვალადცა წარვემართე ათონის დანაშთენის მონასტრების მოსალოცავად და მოსახილველად. თანამოგზაურად მყვანდა მხოლოდ გაბრიელ მონაზონი ქართველი. ჩამოვიარეთ ანდრიას და ილიას რუსთა სკიტების მახლობლად. რადგანაც ეს სავანენი წინა კვირას მოვილოცე, ამისათვის ეხლა აღარ შევედი იქ. მოვედით დილით ბოლგართა სკიტში, სადაც მოვისმინეთ წირვა. როდესაც სცნეს ბოლგართა ძმათა ჩვენი ეროვნება და მართლ-მადიდებლობა, პატივცემულად მოითხოვეს სიმვოლო სარწმუნოების და საუფლო ლოცვის წარმოთქმა წირვაზედ ქართულს ენაზედ. წირვის შემდეგ მიგვიწვია ჩაიზედ თვით მწირველმა, მონასტრის გამგებელმა მღვდელ-მონაზონმა მ. სტეფანემ. კარგად მოწყობილი მონასტერი აქვთ. სლავურს ენაზედ აღასრულებენ ღვთის მსახურებას, მხოლოდ გალობის კილო ბერძნული მიუღიათ. წარსულს იანვარში გარდაცვალებულა მათი წინამძღვარი არქიმანდრიტი. ეხლა მის მაგიერ ამოურჩევია მონასტრის ძმათა ღირსად პატივცემული მ. სტეფანე, მაგრამ მათს არჩევანს არ ამტკიცებს რუსთა მონასტრის წინამძღვარი, თხოულობს, რომელ იმას დაემორჩილნენ იგინი. ხოლო ბოლგარნი უარყოფენ ამ წინადადებასა და თანხმა არ არიან დაჰკარგონ თავისუფლება მონასტრისა. შემდეგ ვისადილეთ ერთად ტკბილის ძმობრივის საუბარით. მ. სტეფანემ მთხოვა იქ ღამის გათევა და ხვალისთვის წირვა; მე მადლობა მოვახსენე ყოვლისა ამისათვის და განვაგრძეთ მგზავრობა. სახსოვრად გარდავეცი მას ერთი ცალი ქართველთა წმიდათა ხატისა, რაიცა დიდის კმაყოფილებით მიიღო.

აქედგან წარვედით და მშვიდობით მივაღწიეთ საღამოზედ ბერძენთა ვატოპედის მონასტერსა. ამ წმ. მონასტრისას დაფუძნების მიზეზად მოუთხრობენ შემდეგს: ბიზანტიის კეისრის თეოდორეს შვილი მოჰყავდათ დიდებულთა ხომალდითა, აღელდა ზღვა და მეფის ძე გადაუვარდათ ზღვაში; ამ უბედურის შემთხვევის გამო ფრიად შეწუხებულთ ვეზირთ არ იცოდნენ რა მოეხერხებინათ და რა პასუხი მიეცათ მეფისათვის. როდესაც ხომალდი ღელვისაგან მიმოტაცებული მიადგა ზღვის კიდეს, ათონის მთის ძირსა, გაკვირვებულთა და გახარებულთა დიდებულთა იხილეს, რომ ჯაგის ქვეშ ჩრდილში სრულიად დასველებულს მეფის ძეს სძინავს. დიდი მადლობა შესწირეს ღმერთს ამ გვარის საკვირველებისათვის და მოახსენეს მეფესა და დედოფალსა ეს შემთხვევა. ხოლო ამათ სახსოვრად ამ სასწაულისა და სამადლობელად ღმრთისა აღაშენეს ამ ადგილზედ დიდებული ტაძარი და მასთან მონასტერი, წოდებული „ვატოპედი“, რაიცა ნიშნავს ბერძნულს ენაზედ: „ყრმა ჯაგის ვეშ“. ამ მონასტერში ვათიეთ ღამე. მეორე დილას მოვისმინეთ ცისკარი, ვეამბორეთ წმ. ნაწილთა, რაიცა წესად არს შემოღებული ყველა ათონის მონასტერში. მოვისმინეთ ადრე წირვა, შემდეგ მიგვიწვია წინამძღვარმა მ. არქიმანდრიტმა, რომელმაც მოუწოდა ათორმეტთა უფროსთა ძმათა სედარბაზოდ და სამუსაიფოთ ჩვენდა, ვითარცა უცხო სტუმართა; მათ შორის მღვდელმონაზონი გერმანე

## დამაკვირდი

უძლეველია კაცი—სიტყვა ძლიერი, მკლავ მაგარი, ფეხ-მარდი, სულგრძელი, მედგარი, მხნე და ქველი.

ლასურიძე

* * *

დედაკაცს სასოწარკვეთილება შეიპყრობს ხოლმე, როდესაც საყვარელი მოუკვდება, ხოლო მაშინ-კი კარგადა ჰგრძნობს, როდესაც მოხუცი ქმარი გარდაეცვლება.

ბურენინი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრეფილი ამბები)

ყოველთვის, როდესაც აფრიკაში ზანგებს სამუშაოდ ქირაობენ, იქაურ მემუსიკეებსაც დაიჭერენ ხოლმე, რომ მუშაობის დროს ზანგები მუსიკით გაართონ. ზანგები ერთი ორად უფრო მუყაითად და ბევრს მუშაობენ, როდესაც მუსიკა უკრავს ან თვითონ მღერიან. ამ ჟამად სუდანში რკინის გზა გაჰყავთ. მუშებად თითქმის სულ ადგილობრივი მკვიდრნი ზანგები არიან. ყველა არტელს თავისი მემუსიკენი ჰყავს. ზანგები ისე არა კისრულობენ მუშაობას, თუ მემუსიკეებიც არ დაიქირავეს. ამის გამო ყველა არტელს თავისი ორკესტრი ჰყავს.

* * *

კრონშტადტში სცხოვრობს თურმე ამ ჟამად ვინმე სურინი, 30 წლის კაცი, ამ კაცს, როგორც გაზეთები იუწყებიან, ორგანიზმში იმდენი ელექტრონის ძალა ჰქონია, რომ თამამად შეიძლება ელექტრონის კაცი ეწოდოს სურინს. მაგალითად, სურვილისამებრ შეუძლიან თავზედ თმა ყალხზედ დააყენოს. შემდეგ, საკმაოა თურმე ამ კაცმა ხელში აიღოს რკინის ფირფიტა, მავთულ შემოხვეული, რომ ამ ფირფიტამ მსუბუქი ნივთები მიიტაცოს. თუ სურინი მგრძნობიარე გალვანომეტრს მიუახლოვდა, ისარი გალვანომეტრში განზედ გაიწევს თურმე.

* * *

ერთს გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტი შემდეგს საზარელს ამბავს იუწყება, რომელიც პულტუსის მაზრის დაბა ვიშკოვში მომხდარა. საღამოთი ამ დაბის მცხოვრებ მღებავის ვოიანის სახლში შესულა ვლადისლავ ტიმმი, ვოიანის ცოლის ძმა, მთელს დაბაში მაწანწალად და ლოთ კაცად ცნობილი. მშიერსა და დაგლეჯილ-დაფლეთილ ტიმს უთხოვნია დისათვის, ამა ღამ თქვენსა გამათევინეთ ღამეო. და დათანხმებულა და პური უჭმევინებია. როდესაც ვახშამი გაუთავებია, ძმა ჩამოსციებია დიასახლისს, ხუთი მანეთი რომ მოგეცი ამას წინად, უკანვე დამიბრუნეო. არაფერი ხუთი მანეთი არ მოგიცია შენ ჩემთვის და არ ვიცი რად უნდა დაგიბრუნოო.—ეუბნებოდა და. მაგრამ ტიმმი თვისას არ იშლიდა და ამბობდა, თუ არ მომცემ, სამაგიეროს გადაგიხდიო. მეორე დღეს ტიმმის სიძე სამუშაოდ წასულა, ესე ცხრა საათზედ დაც სხვაგან გასულა რაღაც საქმის გამო, და სამი ბავშვი—ორი გოგო და ერთი ბიჭი—ძმის ანაბარა დაუტოვებია. როდესაც დაბრუნებულა, ბავშვების დედას შემდეგი გულ-საკლავი სურათი უნახავს: ერთის წლის ძუძუ მწოვარა ბავშვი ნაკუწ-ნაკუწად ქცეული იატაკზედ ეგდო, აქა-იქ ეყარა თურმე ხელები, ფეხები, თავი სრულიად გაჭეჭყილი ერთ კუნჭულში ეგდო. ორ მეორე ბავშვსაც ესევე მოელოდათ თურმე, რომ დროზედ არ გავარდნილიყვნენ და მეზობლებთან არ წასულიყვნენ. მალე ტირილითა და ღრიალით ბავშვებმა მოიყვანეს თურმე მეზობლები, მამასახლისი და სოფლის სხვა მოხელენი. შეპყრობის დროს დამნაშავემ პირდაპირ განაცხადა თურმე,—მე ჩემ დას სამაგიერო გადაუხადე და ჯავრი ამოვიყარეო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ნოემბერი

**ლონდონი.** როგორც ისმის, გენერალის გატეკრის ჯარი სტორმბერგზედ იერიშის მიტანის დროს შესდგებოდა 4,000 კაცისაგან.

**ნააუსპორტი.** ბურები ანგრევენ რკინის გზას. 25 ნოემბერს კიმბერლეისთან ინგლისელებსა და ბურებს შორის სროლა ასტყდა.

**ბერლინი.** რეიხსტაგი შეუდგა ბიუჯეტის კითხვას. ფონ ბიულოვმა სთხოვა პალატას, რომ სამოას კუნძულების შესახებ ხელშეკრულობის საქმე განიხილოს მხოლოდ შეერთებულ შტატების კონგრესის-მიერ ხელშეკრულობის დამტკიცების შემდეგ და მაშინ რეიხსტაგს წარედგინება სამოას კუნძულებისათვის საჭირო ხარჯების აღრიცხვაო. იმპერიის კანცლერმა გოგენლოემ განაცხადა, რომ რეიხსტაგში შეტანილ იქმნება განსახილველად სამხედრო ფლოტის ერთი-ორად გაძლიერების პროექტი. სტატს-სეკრეტარმა ფონ ბიულოვმა ფლოტის გაძლიერების საჭიროება პოლიტიკურის აზრით ახსნა. გერმანიის პოლიტიკის შესახებ ფონ-ბიულოვმა, სხვათა შორის, სთქვა: „გერმანიას არა ჰსურს წაეკიდოს რომელსამე უცხო სახელმწიფოს, მაგრამ არც ის ჰსურს, რომ რომელმამე უცხო სახელმწიფომ მას ფეხზედ ფეხი დაადგას და განზედ გააგდოსო („ვაშა!“). ამ ჟამად გერმანიის ერი უკვე ჩაითრია მსოფლიო პოლიტიკამ და ჩვენც უფლება გვაქვს გავაფართოვოთ ჩვენი სახელმწიფოო. საფრანგეთთან საახლოშინო პოლიტიკის მხრივ ჩვენ ყოველთვის ადვილად შევთანხმებულვართ ხოლმეო. რუსეთის მხრივაც ჩვენ ამ საქმეში მეგობრული დამოკიდებულება გვაქვსო. კეთილი განწყობილება ჩვენსა და შეერთებულ შტატებს შორის უკვე გულ-მხურვალედ გამოსთქვა შტატების პრეზიდენტმა ეპისტოლეშიო. რაც შეეხება ინგლისს ჩვენ მზად ვართ ვიცხოვროთ მასთან თანხმობით და პატივისცემითაო.

**კონსტანტინეპოლი.** გეშოვმა პორტას ჩააბარა ნოტა, რომელშიაც მოთხოვნილია შერეულ კომისიის დანიშვნა ფოსტა-ტელეგრაფის შესახებ ხელშეკრულობის შესაკრავად, სავაჭრო აგენტების დანიშვნაზედ და დამნაშავეთა გაცემაზედ შესათანხმებლად.

30 ნოემბერი

**ბერლინი.** ბიულოვმა თავისს სიტყვაში გამოსთქვა: „არა მარტო ხმელეთზედ, არამედ ზღვაზედაც ჩვენ უნდა უზრუნველ ყოფილნი ვიყვეთ მოულოდნელ შემთხვევების წინააღმდეგაო. ჩვენ უნდა შევქმნათ ფლოტი იმდენად ძლიერი, რომ ჩვენზედ **თავ-დასხმა** შეუხლებელი შეიქმნას. თავდასხმაო“ ვამბობ განსაკუთრებულის მნიშვნელობით იმიტომ, რომ ჩვენის მშვიდობის მოყვარე პოლიტიკის გამო მხოლოდ ჩვენგან მტრის მოგერიებაზედ შეიძლება ლაპარაკი“.

**ლორენცო-მარკეზი.** პრეტორიიდგან მოსული ოფიციალური დეპეშიდგან სჩანს, რომ სტრომბერგთან ომის დროს დაუტყვევებიათ 627 კაცი. დახოცილების და დაჭრილების რაოდენობა ინგლისის ბანაკიდგან არ იციან.

მოდდერის მდინარეზე გუშინ საღამოს ბრძოლა მოხდარა. კრონიეს თავისი ადგილი არ შეუცვლია და 50 ინგლისელი დაუტყვევებია.

**ბერლინი.** ბრიუსელიდგან მოსული დეპეშა იუწყება: „სარწმუნო წყაროებიდგან ცნობილია, რომ სტომბერგთან გატეკრმა 2700 კაციდგან 1200 კაცი დაჰკარგა, ამათ შორის დატყვევებულია 700.

**მურცია.** გუშინ წარმოდგენის დროს გასკდა ყუმბარა. თეატრი დაიწვა. ერთი მუშა დაიკარგა და ერთი მძიმედ დაშავდა. სახლს შესამჩნევი ზარალი არ მოსვლია.

**ლონდონი.** პოლიტიკურ წრეებში უკანასკნელ შემთხვევებისა გამო ძალიან შეფიქრიანებულან. შიშობენ აფრიკანდერების აჯანყებას.


## განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჭიქა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სახლ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—46)


აღმოჩნდა კარგად მცოდნე რუსულის ენისა, რადგანაც მოსკოვში უმსახურნია და იქ შეუსწავლია რუსული ენა და ამის შუამავლობით ვესაუბრე ამ წმ. მონასტრის ძმათა. ვიწყე მე მათთან დაახლოვებით შემდეგი საუბარი:

— ვმადლობ მე უფალსა იესო ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, რომელმან ღირსმყო მე, ჟამსა მოხუცებისა ჩემისასა, მოლოცვად ცხოველს-მყოფელისა მისის საფლავისა და სხვათა წმ. ადგილთა პალესტინისათა, აწ მისივე მადლითა მოვაღწიე წმ. ათონის მთასა მოსალოცავად წმ. სავანეთა. მოვილოცე მე რუსთა მონასტერნი, სკიტნი და კელლიანი, რაოდენნიმე ბერძენთა მონასტერნი და შემდეგ—დიდებული წარსულ ისტორიულის მნიშვნელობით, სახელოვანი მართლ-მადიდებელს ქვეყანაზედ ივერიის მონასტერიც. გარნა სულიერის სიხარულის და ნუგეშის მაგიერ ამისის მოხილვით მივიღე სულიერი მწუხარება. მკითხავთ თქვენ, რად? მოგახსენებთ ვითარცა საღმრთოსა კრებასა მე უცხო, საქართველოდგან, 6 ათასის ვერსის მანძილზედ მოსული. ვთხოვე ძმათა ივერიის მონასტრისათა ეჩვენებინათ ჩემთვის საეკკლესიო საუნჯე, შეკრებილი ივერიის მონასტერში ქართველთა მარადის მოსახსენებელთა ღირსთა მამათაგან. თქვენ კარგად მოგეხსენებათ ისტორიიდგან, ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო, რომ ივერიის მონასტერი დაფუძნებულია და დამყარებული ქართველთა მეფეთა და მთავართაგან, მორწყული და გაპოხიერებული, ვითარცა ვენახი ქრისტესი, ცრემლთა ნაკადულითა, სისხლის ოფლითა და მოღვაწეობითა ქართველთა წმ. მამათა თორნიკე, იოანნე, ევთიმე, გიორგი, გაბრიელისა და სხვათა მამათა, რომელთა სახელები დაწერილ არიან წიგნსა ცხოველთასა. შემდეგ თვით ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა ინება მინიჭება თვისის წმ. ხატისა ამ სავანისათვის, ნიშნათ მისის მოწყალებისა და მფარველობისა ამ ქართველთა—ივერიელთა სავანეზედა, ვითარცა თვით ივერია—საქართველო ითვლება მისს საღმრთო ნაწილად. ვთხოვე ძმათა ივერიის მონასტრისათა ეჩვენებინათ ჩემთვის შესანიშნავი ძველი დაბადება, სახარება და სხვა ქართული და ბერძნული წიგნები. პირველ მისვლაზედ სრულიად უბრალო წიგნები მიჩვენეს; მე ამით არ დავკმაყოფილდი და კვალადცა ვთხოვე შესანიშნავის წიგნების ჩვენება. მათ უარჰყვეს ეს ჩემი თხოვა იმ მიზეზით, ვითომც კარეაში წასულიყო მცველი წიგნებისა და თან წაეღოს გასაღებიც შკაფისა. მაგრამ ეს ცხადი სიცრუე იყო. დამინიშნეს მეორე დრო, მომავალი კვირა დღე, დანიშნულს დროზედ ჩაველ დილით ადრე ცისკარზედ ივერიის მონასტერში; წირვის შემდეგ შემიყვანეს წიგნთსაცავში, გაიღეს შკაფი, და არა რაჲმე შესანიშნავი წიგნები არ მაჩვენეს, გარდა სახარებისა ტყავზედ დაწერილის, რომელშიაც ამოჭრილი აღმოჩნდა სურათები და მრთელი ფურცლები, და ერთიც ქართული დაბადება მაჩვენეს, რომელსაც თავიდანვე აკლია 12 თავი, შუაშიც და ბოლოშიაც მრავალი თავი აკლია. შემდეგ ვთხოვე ქრისტეს სარწმუნოებისა და მეცნიერების სახელით, ჩემის მოხუცებულობის პატივსადებად მაჩვენონ უძველესი ნივთები, რომელნიც ზემო სართულში აქვთ დაცულნი, მათ მიპასუხეს: არაფერი იქ ქართული არ მოიპოვება. მე ვკითხე: მაშ რა უყავით წმ. ევთიმის დაბადება? მათ მიპასუხეს: ერთი ნაწილი ქართულის წიგნებისა დაიწვა, მეორე ამოჭრით დაიკარგა და მესამე ნაწილიც „ექვსის ჯორის საპალნე წიგნები მოიპარესო“. აი ასეთნი მცველნი ჰყავს ივერიის მონასტერს. ოსმალონი უფრო კეთილ შობილად მოიქცეოდნენ ამ გვარს საქმეში, ვიდრე ივერიის მონასტრის ბერძენთა ძმანი. მომიტევეთ, ღირსნო მამანო, ესრეთი ფიცხელი საუბარი; მე უცხო ვინმე სტუმარი მოვსულვარ და აღვიარებ თქვენს წინაშე ჩემის გულის მწუხარებასა, „შური სახლისათვის ღვთისა, ივერიის ეკკლესიისა, შემჭამს მე“ და გულის მწუხარებით ვიტყვი ამას, ვინაიდგან გულის სისრულისაგან ბაგენი იტყვიან. თქვენ რომ ჩემს ადგილზედ იყვნეთ ეხლა, ცხადია არც თქვენ მოითმენდით მონასტრის სიძველეთა გაოხრებას, თქვენ კარგად უწყით საღმრთო წერილიდან, რომ განრისხება საღმრთო საქმეზედ საღმრთო მოვალეობა არს ყოვლისა კეთილმორწმუნისათვის. ამ გვარს შემთხვევაში კაცი არ შეიძლება გულგრილად დაშთეს, ანუ, სიტყვისამებრ იოანნე მახარობლისა „არცა ცივი იყოს და არცა ტფილი“. წმ. მღვდელმთავარმა ნიკოლოზმა, რომელსაც ეკკლესია უწოდებს ხატად სიმშვიდისა, ვერ მოითმინა, როდესაც ესმა არიოზისაგან გმობა ქრისტეზედ, და განრისხებულმა ყვრიმალსა სცა მას. თვით უფალმა იესო ქრისტემ, როდესაც იერუსალიმის ტაძარში იხილა საშინელი უწესოება, დამარღვეველი ღვთის მსახურებისა, აღეგზნო საღმრთო ცეცხლით და შოლტით გამოდევნა ღვთისა ტაძრიდგან გამსყიდველნი და მსყიდველნიც ძროხათა, ცხოვართა და ტრედებისა და ტაბლები იგი დაემხვა. (იოან. 2,15).

ქვანიცა ჰღაღადებენ, რომ ივერიის მონასტერი ქართველთა ერის სამკვიდრებელია, თქვენ საღმრთო კრებას მოვმართავ, თქვენ დასდევით მართალი სამართალი ამ საქმეში, თვით უფალი გვიბრძანებს სახარებაში: „უკეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჲამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ მარტონი“. მე ეს შევასრულე, ვინაიდგან პირდაპირ ვამხილე მათ: „ხოლო უკეთუ არა ისმინოს, მიიყვანე შენთანა ერთი ანუ ორი სხვა, რათა პირითა ორისა და სამისა მოწმისათა დაემტკიცოს ყოველი სიტყვა,“ (მათ. 18, 15—16). ეხლა თქვენ მოგმართავთ, სახარების მცნებისამებრ, ვითარცა საღმრთო კრებასა წარმოთქვათ თქვენი მსჯავრი. „ნუ სჯით თვალღებით, არამედ სამართალი სასჯელი სჯეთ. (იოან. 7,24) მოსე წინასწარმეტყველი იტყვის: „არცა თუ ალხინეთ გლახაკსა, არცა დაგიკვირდეს პირი ძლიერისა, სიმართლით საჯო მოყვასი შენი (ლუკ. 19,15).

„ნუ განსდრეკთ სასჯელსა მწირისა“ თქვენი ვალია პირადად ამხილოთ კრებული ივერიის მონასტრისა ვითარცა თქვენნი ძმანი, სახარებისაებრ.

ამის მოსმენის შემდეგ მხცოვანმა მ. არქიმანდრიტმა წარმოსთქვა: „თქვენ ამ საქმეში მართალი ხართ“. მთელმა კრებამ აღვიარა ესევე; მაგრამ დაუმატეს მათ: ჩვენ ვერ შევეხებით ივერიის მონასტრის შინაგან საქმეთ. მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჩემს საუბარს სიტყვა სიტყვით გარდასცემდნენ ივერიის მონასტრის კრებულსა იმავე დღეს.

დეკანოზი პ. დ. კონჭოშვილი-ილწოველი

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою, Тифлисъ 30 Ноября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**